სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი №05/18

ქ. გურჯაანი **31.08.2018**

სხდომა დაიწყო: 19:35 სთ **სხდომა დასრულდა: 22:07 სთ**

ეთიკის კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 31 აგვისტოს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სასტუმრო ,,ამბასადორის" საკონფერენციო დარბაზში, მდებარე გურჯაანის რაიონი სოფელი კაჭრეთი.

ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით, ეთიკის კომისიის წევრებისათვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას უძღვება ეთიკის კომისიის წევრი ინგა სეხნიაშვილი. ეთიკის კომისიის სხდომა მოწვეული იქნა კანონისა და წესდების მოთხოვნების სრული დაცვით, ამის გამო არც ერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

ეთიკის კომისიის სხდომას ესწრებიან ეთიკის კომისიის წევრები:

1. ანა ხურციძე
2. თორნიკე ბაქრაძე
3. მარიკა არევაძე
4. ხათუნა ჩხაიძე
5. ინგა სეხნიაშვილი
6. კონსტანტინე გელაშვილი
7. ია გაბედავა
8. ბესარიონ ბოხაშვილი
9. არჩილ ჩოფიკაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ ინგა სეხნიაშვილმა აღნიშნა, რომ ასოციაციის წესდების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა". სხდომას ესწრება ეთიკის კომისიის შემადგენლობის უმრავლესობა, 9 კომისიის წევრი, ამდენად, სხდომა კანონისა და წესდების შესაბამისად გადაწყვეტილებაუნარიანია.

წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება ეთხოვა ეთიკის კომისიის წევრს, ქალბატონ ია გაბედავას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი:

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არჩევა.

სხდომის თავმჯდომარემ ეთიკის კომისიის წევრებს მოახსენა, რომ კომისიის წევრებმა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღეს ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ბატონი გია ტაბლიაშვილის განცხადება. აღნიშნული განცხადებით ირკვევა, რომ ოჯახური პირობების გამო, კერძოდ ოჯახის წევრის ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზით, ბატონი გია ტაბლიაშვილი ტოვებს დაკავებულ თანამდებობას პირადი განცხადებით.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისია თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით, 2 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც იმავდროულად უნდა იყოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი“. ასოციაციის წესდების 21-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისია თავისი შემადგენლობიდან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით 2 წლის ვადით, ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც იმავდროულად უნდა იყოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი“.

კომისიის წევრის არჩილ ჩოფიკაშვილის მოსაზრებით, რადგან ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს ეთიკის კომისია, ბატონ გია ტაბლიაშვილს განცხადებით უნდა მიემართა არა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარისათვის, არამედ ეთიკის კომისიისათვის. ის მიიჩნევს, რომ განცხადების წარდგენის ფორმალური მხარე არ არის დაცული.

სხდომის თავმჯდომარის ინგა სეხნიაშვილის მოსაზრებით, განცხადების წარდგენის ფორმალური მხარე დაცულია, რადგან მართალია გია ტაბლიაშვილმა განცხადებით მიმართა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, მაგრამ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ განცხადება განსახილველად გადმოაწერა ეთიკის კომისიას.

კომისიის წევრის ბესარიონ ბოხაშვილის მოსაზრებით, განცხადების წარდგენის ფორმალური მხარე დაცული იქნებოდა იმ შემთხვევაშიც კი, ბატონ გია ტაბლიაშვილს აღნიშნული განცხადება რომ გაეკეთებინა მედიის საშუალებით. ეთიკის კომისიამ ბატონი გია ტაბლიაშვილს ნება, რომელიც გამოიწვია მისმა ოჯახურმა მდგომარეობამ, უნდა მიიღოს ცნობად და იმოქმედოს შესაბამისად.

კომისიის წევრის არჩილ ჩოფიკაშვილის მოსაზრებით, თუ კომისია ჩათვლის, რომ ბატონმა გია ტაბლიაშვილმა გამოხატა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეობის დატოვების ნება, ეთიკის კომისიამ ჯერ ფორმალურად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება გია ტაბლიაშვილისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე და შემდეგ უნდა მოხდეს ახალი თავმჯდომარის არჩევა.

კომისიის წევრის მარიკა არევაძის მოსაზრებით, გია ტაბლიაშვილის განცხადების შინაარსიდან გამომდინარე, ის მიიჩნევს, რომ მის მიერ გამოხატული ნება ნამდვილია და ბატონმა გია ტაბლიაშვილმა დატოვა თანამდებობა. კომისიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ბატონი გია ტაბლიაშვილის განცხადების დაკმაყოფილების შესახებ და შემდეგ უნდა აირჩიოს ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

კომისიის წევრის თორნიკე ბაქრაძის განცხადებით, ის პირადად ესაუბრა ბატონ გია ტაბლიაშვილს, რომელმაც გააცნო ის ვითარება, რის გამოც მიიღო გადაწყვეტილება უარი ეთქვა ეთიკის კომისიის თავმჯდომარის პოზიციაზე. აღნიშნული ვითარება ბატონმა გია ტაბლიაშვილმა მოკლედ ასახა მის მიერ დაწერილ განცხადებაში.

კომისიის წევრის ია გაბედავას განცხადებით, ბატონ გია ტაბლიაშვილს განცხადებაში მითითებული აქვს, რომ ვეღარ იქნება ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, მაგრამ ის რჩება ეთიკის კომისიის წევრად.

სხდომის თავმჯდომარემ ინგა სეხნიაშვილმა და კომისიის წევრმა თორნიკე ბაქრაძემ ასევე დაადასტურეს, რომ ბატონი გია ტაბლიაშვილი რჩება ეთიკის კომისიის წევრად.

<u>ეთიკის კომისიამ დააკმაყოფილა ბატონი გია ტაბლიაშვილის განცხადება ეთიკის კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ეთიკის კომისიის 8 წევრმა, კომისიის წევრმა არჩილ ჩოფიკაშვილმა თავი შეიკავა გადაწყვეტილების მიღებისაგან.</u>

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის კანდიდატად დასახელდა ეთიკის კომისიის წევრი თორნიკე ბაქრაძე. კანდიდატმა წარმოადგინა წერილობითი თანხმობა.

ფარული კენჭისყრის შედეგად მიღებულ ხმათა რაოდენოდა შემდეგნაირად განაწილდა:

თორნიკე ბაქრაძე - 9 (ცხრა) ხმა.

<u>საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 21-ე მუხლის მე-10 პუნქტისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ეთიკის კომისიის სხდომაში მონაწილე წევრთა მიერ ეთიკის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თორნიკე ბაქრაძე.</u>

დღის წესრიგით გათვალისწინებული ამ საკითხის განხილვა დასრულდა.

/ინგა სეხნიაშვილი/

სხდომის თავმჯდომარე

/ია გაბედავა/

სხდომის მდივანი

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი:

ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის და უფროსი იურისტის სამუშაო აღწერილობათა გამიჯვნა.

სხდომის თავმჯდომარედ დასახელდა ეთიკის კომისიის თავმჯდომარე თორნიკე ბაქრაძე.

საკითხის განხილვას ესწრებიან ეთიკის კომისიის წევრები:

1. ანა ხურციძე
2. ანა ლორია (სხდომაში მონაწილეობას ღებულობს სკაიპის მეშვეობით)
3. თორნიკე ბაქრაძე
4. მარიკა არევაძე
5. ხათუნა ჩხაიძე
6. ინგა სეხნიაშვილი
7. ირაკლი კორძახია
8. კონსტანტინე გელაშვილი
9. ია გაბედავა
10. ბესარიონ ბოხაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ თორნიკე ბაქრაძემ აღნიშნა, რომ ასოციაციის წესდების 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: ,,ეთიკის კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობა“. სხდომას ესწრება ეთიკის კომისიის შემადგენლობის უმრავლესობა, 10 კომისიის წევრი, ამდენად, სხდომა კანონისა და წესდების შესაბამისად გადაწყვეტილებაუნარიანია.

წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება ეთხოვა ეთიკის კომისიის წევრს, ქალბატონ ია გაბედავას.

სხდომის თავმჯდომარის თორნიკე ბაქრაძის განცხადებით, ეთიკის კომისიის წინა სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება, სამუშაოს აღწერილობის გამიჯვნის შემდეგ დამტკიცებულიყო კომისიის აპარატის უფროსის თანამდებობა. ფუნქციათა გამიჯვნის პროექტზე, რომელიც კომისიის წევრებს წინასწარ გაეგზავნათ მეილის მეშვეობით, იმუშავეს მან, ანა ხურციძემ და ქეთევან უტიაშვილმა.

კომისიის წევრებმა დაადასტურეს, რომ გაეცნენ უფროსი იურისტისა და აპარატის უფროსის ფუნქციათა გამიჯვნის აღნიშნულ პროექტს.

კომისიის წევრის ირაკლი კორძახიას მოსაზრებით, აღნიშნული საკითხის განხილვა უნდა გადაიდოს, რადგან სხდომას არ ესწრებიან ეთიკის კომისიის უფროსი იურისტი და იურისტები. მათი აზრის მოსმენა ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია.

კომისიის წევრის ბესარიონ ბოხაშვილის მოსაზრებით, საინტერესოა კომისიის წევრის ირაკლი კორძახიას დასაბუთება, თუ რატომ უნდა დაესწრონ ამ საკითხის განხილვას აპარატის იურისტები.

კომისიის წევრის ირაკლი კორძახიას განცხადებით, ეთიკის კომისიის წინა სხდომას ეწრებოდა ყველა იურისტი და ეთიკის კომისიის ყველა წევრს აინტერესებდა მათი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. რადგან ეს ცვლილება უშუალო გავლენას ახდენს იურისტთა მუშაობაზე, მათი აზრის მოსმენა ამ საკითხთან დაკავშირებით ფასეული და მნიშვნელოვანია.

კომისიის წევრის ია გაბედავას მოსაზრებით, ამ საკითხზე იურისტებმა აზრი უკვე გამოთქვეს.

კომისიის წევრის ბესარიონ ბოხაშვილის მოსაზრებით, ფორმალურად კომისიის იურისტები არც წინა სხდომაზე უნდა ყოფილიყვნენ წარმოდგენილი, თუმცა კარგია, რომ მათ მოსაზრებები გამოთქვეს. იურისტებმა პოზიცია დააფიქსირეს იმასთან დაკავშირებით, უნდა ყოფილიყო თუ არა აპარატის უფროსის შტატი შემოღებული. იურისტებმა დააფიქსირეს პოზიცია, რომ აღნიშნული შტატი არ უნდა ყოფილიყო შემოღებული, მაგრამ კომისიამ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო. იურისტების პოზიცია ამ საკითხზე უკვე გაჟღერებულია და საკითხის განხილვის გადადება უსაფუძვლოა.

კომისიის წევრის ანა ლორია მხარს უჭერს ირაკლი კორძახიას ინიციატივას აღნიშნული საკითხის გადადების თაობაზე. მისი მოსაზრებით, კარგი იქნებოდა თუ საკითხის განხილვას ყველა იურისტი თუ არა, ეთიკის კომისიის უფროსი იურისტი თამარ ხუბულური მაინც დაესწრებოდა, რადგან აღნიშნული საკითხის განხილვა პირდაპირ უკავშრდება მის სამართლებრივ მდგომარეობას. ამასთან, უფროს იურისტთან უკვე აქვს ადვოკატთა ასოციაციას გაფორმებული ხელშეკრულება, ის შრომით-სამართებრივ ურთიერთობაში იმყოფება ჩვენთან, მის წინაშე გვაქვს ნაკისრი გარკვეული ვალდებულებები და რადგან საკითხის განხილვა პირდაპირ ეხება მისი ფუნქციების ცვლილებებს და სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მის შრომით უფლებებს, მნიშნელოვანი იქნებოდა ამ მხრივ მოქმედი უფროსი იურისტის მონაწილეობით განხილულიყო აღნიშნული საკითხი, მით უფრო, როდესაც წარმოდგენილია ცვლილებების ახალი პაკეტი.

სხდომის თავმჯდომარის მოსაზრებით, ეთიკის კომისია არ არის შრომით ურთიერთობაში ეთიკის კომისიის უფროს იურისტთან.

კომისიის წევრის მარიკა არევაძის განცხადებით, ეთიკის კომისიის უფროსი იურისტი შრომით ურთიერთობაში იმყოფება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან. რადგან იხილება საკითხი, რომლითაც არ იცვლება ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის შრომითი უფლებები, უფროსი იურისტის უფლებებს ზიანი არ ადგება.

კომისიის წევრის ბესარიონ ბოხაშვილის განცხადებით, საკითხს უნდა შევხედოთ გლობალურად, გადასაწყვეტია აღნიშნული ცვლილება ეთიკის კომისიის ეფექტურ მუშაობას მიაყენებს თუ არა ზიანს. ვინაიდან ეთიკის კომისია არ არის ხელშეკრულების მხარე, კომისია

არ უნდა მსჯელობდეს შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე საკითხზე. ეთიკის კომისიამ უნდა გადაწყვიტოს, რა სიკეთის მომტანი იქნება აღნიშნული ცვლილება ეთიკის კომისიისათვის და ხომ არ შეექმნება რაიმე სახის პრობლემა ეთიკის კომისიის აპარატს.

კომისიის წევრის ანა ლორიას განცხადებით, კომისიის წევრებმა თავად არ უნდა გადაწყვიტონ რა იქნება სასარგებლო უფროსი იურისტისათვის და რა მიაყენებს მას ზიანს. ამ საკითხზე თავად უფროსმა იურისტმა უნდა გამოთქვას მისი პოზიცია, აყენებს თუ არა ზიანს მის სამართლებრივ მდგომარეობას აპარატის უფროსის საშტატო ერთეულის შემოღება წარმოდგენილი ფუნქციებით, ვიღაცისთვის ეს შესაძლოა იყოს - სამუშაოს შემსუბუქება, ხოლო ვიღაცისთვის - პირიქით.

კომისიის წევრის ირაკლი კორძახიას მოსაზრებით, ეთიკის კომისიის უფროსი იურისტისათვის მნიშვნელოვანია სამუშაოს აღწერილობა, მან წინა სხდომაზე დააფიქსირა პოზიცია, რომ თუ მოხდებოდა აპარატის უფროსის შტატის შემოღება, მაშინ დეტალურად იქნებოდა გასაწერი ის ფუნქციები, რომლებაც აპარატის უფროსი შეასრულებდა. ირაკლი კორძახიას განცხადებით, მისთვის მნიშვნელოვანია, რომ ეთიკის კომისიის აპარატმა იმუშაოს კოორდინირებულად და გამართულად და თუ მოხდება რაიმე სახის ცვლილება უფროსი იურისტის ფუნქციებში, უნდა მოხდეს მისი აზრის მოსმენაც. იურისტების აზრის მოსმენა უზრუნველყოფდა პროცესის ინკლიუზიურობას და წინა სხდომის შემდეგ უკვე შეცვლილ შემოთავაზებაზე კომისიის უფროსი იურისტი თამარ ხუბულური გამოთქვამდა და თავის აზრს.

კომისიის წევრის კონსტანტინე გელაშვილის მოსაზრებით, კონკრეტულ მოცემულობაში ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის - თამარ ხუბულურის ფუნქციები არ იზრდება, პირიქით, მას გაუადვილდება მუშაობა, რადგან მოაკლდება შესასრულებელ ფუნქციათა ნაწილი და ის აღმოჩნდება იმაზე უკეთეს პირობებში, ვიდრე ახლაა. ეთიკის კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ეთიკის კომისიის მიზნებიდან გამომდინარე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა კომისიის წევრის - ირაკლი კორძახიას შემოთავაზება ამ საკითხის განხილვის გადადების თაობაზე.

კენჭრისყრის შედეგები: საკითხის განხილვის გადადების მომხრე კომისიის წევრები: ირაკლი კორძახია, ანა ლორია.

საკითხის განხილვის გადადებას მხარი არ დაუჭირეს კომისიის წევრებმა: თორნიკე ბაქრაძე, მარიკა არევაძე, ანა ხურციძე, ინგა სეხნიაშვილი, კონსტანტინე გელაშვილი, ია გაბედავა, ბესარიონ ბოხაშვილი, ხათუნა ჩხაიძე.

<u>ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, საკითხის განხილვა არ უნდა გადაიდოს.</u>

კომისია გადადის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხის განხილვაზე.

ეთიკის კომისიის წევრის ირაკლი კორძახიას კომისიის წევრებს აცნობა, რომ დანომრა და სხვადასხვა ფერებად მონიშნა ის ფუნქციები, რომლებიც ემთხვეოდა შემოთავაზებული აპარატის უფროსის ფუნქციებში უფროსი იურისტის ფუნქციებს და ასევე იურისტის ფუნქციებს. მან კომისიის წევრებს ელექტრონულ ფოსტაზე გადაუგზავნა მომზადებული დოკუმენტი ანალიზისთვის. შესაბამისად აღმოჩნდა, რომ აპარატის უფროსის მთელი რიგი ფუნქციები დუბლირებულია უფროსი იურისტის ფუნქციებთან. ეს ფუნქციებია:

- ✓ ეთიკის კომისიის იურისტების საქმიანობის ორგანიზება და კოორდინირება;
- ✓ თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასება ორგანიზაციაში დანერგილი შეფასების სისტემის შესაბამისად;
- ✓ ეთიკის კომისიის და კოლეგიების სხდომების გამართულად და ხარისხიანად ჩატარების კოორდინაცია და უზრუნველყოფა; (დამატებით ეს საკითხი იურისტის აღწერაშიც მეორდება);
- ✓ ეთიკის კომისიის აპარატის მიერ წარმოებული საქმეთა არქივის მუდმივი განახლებისა და სიზუსტის უზრუნველყოფა (დამატებით ეს საკითხი იურისტის აღწერაშიც მეორდება, აქაც და რამდენიმე შემთხვევაში დამატებულია მხოლოდ ერთი სიტყვა - „უზრუნველყოფა“);
- ✓ ეთიკის კომისიის აპარატის მიერ წარმოებული სტატისტიკის მუდმივი განახლებისა და სიზუსტის უზრუნველყოფა; (დამატებით ეს საკითხი იურისტის აღწერაშიც მეორდება);
- ✓ ეთიკის კომისიის მიმდინარე საქმეების ელექტრონული ცხრილის სიზუსტის უზრუნველყოფა; (დამატებით ეს საკითხი იურისტის აღწერაშიც მეორდება)
- ✓ საქართველოს სასამართლოებში ასოციაციის წარმომადგენლობა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში;
- ✓ საჭიროების შემთხვევაში ეთიკის კომისიის აპარატის იურისტის ფუნქციების განხორციელება;
- ✓ კომისიის, კოლეგიის თავმჯდომარის ან სხვა უფლებამოსილი წევრის მითითებით სხვა ნებისმიერი დავალებების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია ეთიკის კომისიის საქმიანობასთან.

ირაკლი კორძახიას აღნიშნა, რომ ეთანხმება როგორც წინა სხდომაზე ანა ხურციძეს გამოხატულ პოზიციას, რომ დუბლირებული ფუნქციები პრაქტიკაში ყოველთვის ქმნის პრობლემას, მენეჯმენტის კუთხით. მეორე პრობლემა არის ის რომ, შემოთავაზებული პროექტით, რიგი ფუნქციებისა ჩამორთმეული აქვს მთავარი იურისტს და გადაცემულია აპარატის უფროსისათვის, ეს ფუნქციებია:

- ✓ ეთიკის კომისიის აპარატის თანამშრომლებს შორის ფუნქციების გადანაწილება, სამუშაო დატვირთულობის კონტროლი და ფუნქციების პერიოდული ანალიზი;
- ✓ ეთიკის კომისიის იურისტების დისციპლინის და შინაგანაწესის შესაბამისად ქცევის მონიტორინგი;

- ✓ ეთიკის კომისიის აპარატის ორგანიზაციული განვითარების მიზნით საუკეთესო პრაქტიკის მოძიება;
- ✓ ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა;
- ✓ საერთო კრებისთვის წლიური ანგარიშის მომზადება; საჭიროებისამებრ, სხვადასხვა სახის ანგარიშების მომზადება.

ირაკლი კორძახიას მოსაზრებით, აქ პრობლემა არის ის, რომ ეს არის სამუშაო პირობების არსებითი ცვლილება. მთავარ იურისტს ჩამორთმეული აქვს ხელმძღვანელობა-ზედამხედველობის ფუნქციები. საქართველოს შრომის კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად, ,,შრომითი პირობების არსებითად შეცვლა საჭიროებს თანამშრომლის თანხმობას". ამიტომაც კარგი იქნებოდა მთავარი იურისტის მოწვევა სხდომაზე და მისი აზრის მოსმენა.

ირაკლი კორძახია გამოყოფს საკითხებს, რომლებიც არის ახალი და ეს ფუნქციები არ ჰქონია ეთიკის კომისიის უფროს იურისტს. ეს საკითხებია:

- ✓ ასოციაციის სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა ეთიკის კომისიის აპარატის ნაწილში
- ✓ ეთიკის კომისიის გაძლიერების მიზნით პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, მათთან თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე და განსახორციელებელი პროექტების მართვა და უშუალოდ დაქვემდებარებულ თანამშრომლებს შორის ფუნქციების გადანაწილება;
- ✓ მისადმი დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულის სარგებლობაში არსებული მატერიალური ქონების მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფა;
- ✓ ეთიკის კომისიის აპარატის თანამშრომელთა კვალიფიკაციის მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;

ირაკლი კორძახიას მოსაზრებით, ამ ფუნქციებს დე ფაქტო წარმატებით ასრულებდა ეთიკის კომისიის უფროსი იურისტი ისე, რომ ეს არ ყოფილა გაწერილი მის სამუშაოს აღწერილობაში. მან გაიხსენა პროლოგთან ერთად წარმატებულად განხორციელებული სტაჟირების პროგრამა და სტრატეგიის განხორციელებაზე მუშაობა. სასურველია, თუ ეს ფუნქციები დაემატება ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის ფუნქციებს. მატერიალური ქონებაც არასოდეს დაკარგულა კომისიაში. მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ფუნქციათა დუბლირება და იმ ფუნქციებზე, რომლებიც მთავარი იურისტიდან გადაცემული აქვს აპარატის უფროსს ან უნდა მივიღოთ უფროსი იურისტის თანხმობა ან ეს ფუნქციები დარჩეს ისევ უფროს იურისტს, ხოლო აპარატის უფროსს ჰქონდეს ფუნქციები, რომლებიც განსხვავებულია მთავარი იურისტის ფუნქციებისგან.

კომისიის წევრის ანა ხურციძის განცხადებით, როდესაც მან შეადარა ეთიკის კომისიის იურისტის და უფროსი იურისტის სამუშაოს აღწერილობა, აღმოაჩინა, რომ მათი სამუშაოს აღწერილობა არის იდენტური. ანუ ეს საკითხი თუ მანამდე არ ყოფილა პრობლემა, წესით არც ახლა უნდა იყოს. სამუშაოს აღწერილობა არ უნდა იყოს მიბმული კონკრეტულ ადამიანთან, რადგან ნებისმიერ ორგანიზაციაში კადრები მუდმივად იცვლებიან. ანა ხურციძის მოსაზრებით, შემოთავაზებული ფუნქციები არ არღვევს უფროსი იურისტის

შრომით უფლებებს, კერძოდ: უფროს იურისტს რჩება კონტროლისა და ზედამხედველობის ფუნქციები, ის რჩება იურისტების ხელმძღვანელად. მას მოაკლდება მხოლოდ მენეჯერული ფუნქციები, მაგალითად: იურისტების საქმიანობის ორგანიზება. ეს არ არის შრომითი პირობების არსებითი შეცვლა და რომც იყოს, ეს ეხება მხოლოდ ადვოკატთა ასოციაციას და დასაქმებულს და არა ეთიკის კომისიას.

კომისიის წევრის ბესარიონ ბოხაშვილის მოსაზრებით, კომისია უნდა შეეცადოს თავი აარიდოს გარკვეული ფუნქციების დუბლირებას. რაც შეეხება შრომით უფლებებს, ეთიკის კომისია ამ საკითხებზე არ უნდა მსჯელობდეს, რადგან იურისტებს შრომითი ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან და არა ეთიკის კომისიასთან. თუ ვიმსჯელებთ შრომის კოდექსის მე-11 მუხლზე, იქ საუბარია შრომითი პირობების გაუარესებაზე, მოცემულ შემთხვევაში უფროსი იურისტის შრომითი პირობები გაუარესების ნაცვლად უმჯობესდება. უფროსმა იურისტმა თავისი ცოდნა უნდა მოახმაროს გადაწყვეტილებათა დასაბუთებას და არა მენეჯერული ფუნქციების შესრულებას. რაც შეეხება უფროსი იურისტისათვის მენეჯერული ფუნქციების ჩამორთმევას, ეს არის პოზიტიური ცვლილება, რადგან იურისტის და მენეჯერის ფუნქციები არ უნდა იყოს არეული.

კომისიის წერმა ანა ლორიამ მიმართა ბესარიონ ბოხაშვილს, რომ ის წინა სხდომაზე ამბობდა, რომ აპარატის უფროსი არ შეიძლებოდა ყოფილიყო იურისტი და დატვირთულიყო იურიდიული საქმეებით. აპარატის უფროსს უნდა ჰქონოდა მხოლოდ და მხოლოდ მენეჯერული ფუნქციები, აქედან გამომდინარე, ანა ლორიამ დასვა კითხვა თუ რომელი ფუნქციები იყო წარმოდგენილი პროექტის მიხედვით წმინდა მენეჯერული და რომელი ფუნქციების შესრულებას არ დასჭირდებოდა იურისტის კვალიფიკაცია. ანა ლორიას მოსაზრებით, იმ ფუნქციების შესრულებას, რომელიც გაწერილია ეთიკის კომისიის აპარატის უფროსისათვის წარმოდგენილ პროექტში, ვერ შეძლებს არაიურისტი პირი. მისი ფუნქციებიდან წმინდა მენეჯერული ფუნქცია არცერთია.

კომისიის წევრის ბესარიონ ბოხაშვილის მოსაზრებით, აპარატის უფროსის ფუნქციებიდან მენეჯერულია ყველა ფუნქცია, გარდა სასამართლოში წარმომადგენლობისა.

ეთიკის კომისიის წევრის ირაკლი კორძახიას განცხადებით, აპარატის უფროსის ფუნქციებში მითითებულ სხვა ფუნქციებსაც - საჭიროებისამებრ იურისტის მოვალეობების შესრულებას, საუკეთესო პრაქტიკის და პრეცენდენტების მოძიებას და დამუშავებას, ასევე დებულების, რაც საპროცესო კოდექსის ანალოგია კომისიისთვის, შესაბამისად სხდომების ჩატარების ორგანიზებას, ასევე სხვა იურისტების მუშაობის კვალიფიციურ შეფასებას - ვერ განახორციელებს არაიურისტი პირი.

კომისიის წევრის ბესარიონ ბოხაშვილის განცხადებით, აღნიშნული აპარატის უფროსი იქნება იურისტი, რომელიც განახორციელებს ძირითადად მენეჯერულ ფუნქციებს.

კომისიის წევრმა ბესარიონ ბოხაშვილმა განმარტა, რომ აპარატის უფროსი უნდა იყოს იურისტი, ძირითადად მენეჯერული ფუნქციებით. რაც შეეხება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების გააზრებას, ამის გაკეთება შეუძლია ჩვეულებრივ მენეჯერსაც. თუმცა აპარატის უფროსი ცალსახად უნდა იყოს იურისტი.

ანა ლორიას განცხადებით, ეთიკის კომისიის წინა სხდომაზე ბატონი ბესარიონ ბოხაშვილის მოსაზრება იყო, რომ აპარატის უფროსი უნდა ყოფილიყო მენეჯერი და არ უნდა ყოფილიყო იურისტი, ამის შესახებ არსებობს ოქმიც. მაშინ რისთვის არის საჭირო ახალი კადრის შემოღება? ეთიკის კომისიას უკვე ჰყავს უფროსი იურისტი, რომელიც არის იურისტი და ასრულებს მენეჯერულ ფუნქციებსაც.

კომისიის წევრის ბესარიონ ბოხაშვილის განცხადებით, საჭიროა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს მენეჯერული და იურისტის ფუნქციები. ამ ეტაპზე მთავარ იურისტს აქვს შერეული ფუნქციები, რაც არასწორია. იმისათვის, რომ ეთიკის კომისიის აპარატმა იმუშაოს ბევრად უკეთ, საჭიროა ეს ფუნქციები ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს. აპარატის უფროსს ძირითადად უნდა ჰქონდეს მენეჯერული ფუნქციები.

კომისიის წევრის მარიკა არევაძის მოსაზრებით, მას წარმოედგინა, რომ აპარატის უფროსის კანდიდატად განიხილებოდა იურისტი და ეთიკის კომისიამ რეკომენდაციით უნდა მიმართოს აღმასრულებელ საბჭოს, რომ ეს პირი იყოს იურისტი.

ანა ლორიას მოსაზრებით, თუ კომისია ამ ფორმით დაამტკიცებს აპარატის უფროსის სამუშაოს აღწერილობას, ამ გადაწყვეტილებას სასამართლო გააუქმებს, რადგან ეს არის შრომითი პირობების დარღვევა. სასურველი იქნებოდა, თუ აღმასრულებელი საბჭო იზრუნებდა მეხუთე იურისტის დამატებაზე და არა იმ ზედა რგოლის შემოღებაზე, რომლის გარეშეც ისედაც გამართულად მუშაობს დღეს ეთიკის კომისია. წინა სხდომაზე კომისიის უმეტესობის აზრი იყო ის, რომ აპარატის უფროსს ჰქონოდა მხოლოდ მენეჯერული ფუნქციები. აპარატის უფროსის ფუნქციათა არსებული ჩამონათვალიდან, არც ერთი არაა მხოლოდ მენეჯერული ფუნქცია.

ეთიკის კომისიის წევრის ირაკლი კორძახიას მოსაზრებით, მართალია აღნიშნული პოზიცია შემოაქვს აღმასრულებელ საბჭოს, მაგრამ ეთიკის კომისია წესდების 21 მუხლის მე-17 პუნქტის თანახმად, აკეთებს წარდგინებას და თუ წარდგინება იქნება კანონსაწინააღმდეგო, ამაზე თავისი წილი პასუხისმგებლობა დაეკისრება ეთიკის კომისიას. უფროს იურისტს წაერთვა ხელმძღვანელობის ფუნქცია, შესაძლოა მას აქვს ნაკლები პასუხისმგებლობა, მაგრამ ისეთი ფუნქციები ჩამოერთვა, რომელმაც მისი კარიერული დაქვეითება გამოიწვია. მსგავსი ლოგიკით, გენერალს რომ ჯარის ხელმძღვანელობის ფუნქცია ჩამოართვა და რიგითად ან კაპიტნად გახადო, შეიძლევა ვინმემ თქვას, რომ მას ახლა ნაკლები პასუხისმგებლობა აქვს და მისი მგდომარეობა გაუმჯობესდაო, თუმცა ეს ასე არ არის. კომისიის წევრთა ნაწილი წინა სხდომაზე ცვლილებას მხარს უჭერდა იმ შემთხვევაში, თუ აპარატის უფროსი იქნებოდა მენეჯერი, მენეჯერული ფუნქციებით. დღეს მათ მოსაზრებები შეიცვალეს და მხარს უჭერენ

აპარატის უფროსს შერეული ფუნქციებით. მან ასევე წაიკითხა შესაბამისი ციტატები კომისიის წევრების ბესარიონ ბოხაშვილის და ანა ხურციძეს მიერ წინა სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებებიდან.

ბესარიონ ბოხაშვილის განცხადებით, წინა სხდომაზე მან გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მომხდარიყო ფუნქციათა გამიჯვნა იმისთვის, რომ უფროს იურისტს არ ჰქონოდა მენეჯერული ფუნქციები. მას ეს მოსაზრება არ შეუცვლია. მთავარ იურისტს არ აქვს ჩამორთმეული არც ერთი ის ფუნქცია, რაც უნდა ჰქონდეს იურისტს. რაც შეეხება აპარატის უფროსს, ის იქნება მენეჯერი იურიდიული განათლებით და ფორს-მაჟორულ სიტუაციებში შეასრულებს იურისტის მოვალეობას.

<u>სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, აღმასრულებელ საბჭოს წარედგინოს ეთიკის კომისიის უფროსი იურისტისა და აპარატის უფროსის ფუნქციები შემდეგი მოცემულობით:</u>

დანართი 1: ეთიკის კომისიის აპარატის უფროსის სამუშაოს აღწერილობა

დანართი 2: ეთიკის კომისიის უფროსი იურისტის სამუშაოს აღწერილობა

კენჭისყრის შედეგები: წარმოდგენილი სახით უფროსი იურისტისა და აპარატის უფროსის სამუშაო აღწერილობას მხარს უჭერენ კომისიის წევრები: ია გაბედავა, ინგა სეხნიაშვილი, ანა ხურციძე, მარიკა არევაძე, ხათუნა ჩხაიძე, ბესარიონ ბოხაშვილი, კონსტანტინე გელაშვილი, თორნიკე ბაქრაძე.

მხარს არ უჭერენ კომისიის წევრები: ანა ლორია, ირაკლი კორძახია.

<u>ეთიკის კომისიამ 8 ხმით მიიღო გადაწყვეტილება, რომ აღმასრულებელ საბჭოს მიმართოს წარდგინებით, ეთიკის კომისიის აპარატის უფროსისა და უფროსი იურისტის სამუშაოს აღწერილობა დამტკიცდეს დანართში მითითებული მოცემულობით.</u>

დღის წესრიგით გათვალისწინებული დანარჩენი საკითხების განხილვა გადაიდო, რასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა ირაკლი კორძახიამ, რომლის აზრით რადგან მესამეჯერ იდება ეს საკითხები, ისევ გაკეთდეს სხდომის ორგანიზება, რომ მოესწროს საკითხები განხილვა. შესაძლოა ამისთვის საჭირო გახდეს რამდენიმე სხდომაც.

კომისიის წევრმა მარიკა არევაძემ შესთავაზა კომისიის წევრებს, რომ გამოეყოთ 2 ან 3 საკითხი, რადგან თითო საკითხზე მინიმუმ ერთი საათია საჭირო საფუძვლიანი მსჯელობისთვის, ამიტომ პრიორიტეტული საკითხები განისაზღვროს და ისე განისაზღვროს შემდეგი სხდომის დღის წესრიგი. მისი აზრით პრიორიტეტულია ვებ გვერდზე კომისიის გადაწყვეტილებების სრულად განთავსების დროითი პერიოდის განსაზღვრის საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რასაც დაეთანხმა ინგა სეხნიაშვილი, რომ ელექტრონული მიმოწერით შეთანხმდეს პრიორიტეტული საკითხები შემდეგი სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დანარჩენი საკითხების გადადების საკითხი

კომისიამ დაადგინა, რომ დღის წესრიგის სხვა საკითხების განხილვა გადაიდოს შემდეგ სხდომაზე, ხოლო მათი განხილვის პრიორიტეტი შეთანხმდეს დამატებით კომისიის წევრებს შორის.

კენჭრისყრის შედეგები: ერთხმად.

/თორნიკე ბაქრაძე/

სხდომის თავმჯდომარე

/ია გაბედავა/

სხდომის მდივანი